ხელშეკრულება №26/12/1-2017
დაცვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 1/4711 29.12.16 **26 დეკემბერი 2016 წელი**

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე„ მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ„ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ექსკლუზიურად გამარტივებული შესყიდვის განხორციელების საშუალებით, (CPV 79700000, 79713000). SMP 160003499

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი თავმჯდომარის უფლებამოსილი პირის (ცესკოს თავმჯდომარის 2015 წლის 31 დეკემბრის №01-107 ბრძანება) თავმჯდომარის მოადგილის გიორგი შარაბიძის სახით, ერთი მხრივ და **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მამუკა ლიპარტელიანის სახით, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია 2017 კალენდარული წლის განმავლობაში ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, შესაბამისი გამოკვლევის აქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის დაცვის მომსახურების შესყიდვა, ექსკლუზიურად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (შემდგომში „ობიექტად“ წოდებული). ობიექტი მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით ადმაშენებლის ხეივანი მე-13 კილომეტრი;
1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას „მიმწოდებელს“ გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
1.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ობიექტის“ დაცვას განახორციელებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს I განყოფილება;
1.4. ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული ობიექტის დაცვა, განხორციელდება პოლიციის 1 (ერთი) დაცვის უფროსის, 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორის, 3 (სამი) ინსპექტორისა და 18 (თვრამეტი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის გამოკვლევის აქტით გათვალისწინებული დაცვითი რეჟიმით.

2. მომსახურების ღირებულება და ვადები

2.1. მომსახურების ღირებულება: ერთ თვეში შეადგენს 18400,00 (თვრამეტი ათას ოთხასი) ლარს დღგს ჩათვლით. (დაცვის უფროსი – 2000,00 ლარი, პოლიციის ერთი უფროსი ინსპექტორი – 1100,00 ლარი, ერთი ინსპექტორი – 900,00 ლარი, ერთი უმცროსი ინსპექტორი – 700,00 ლარი.);
2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 220 800,00 (ორასოცი ათას რვაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
2.3. მომსახურებაზე საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველო.
2.4 მომსახურება ხორციელდება 2017 წლის 1 იანვრიდან – 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ შესაბამისი მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
3.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული მოსახურებისათვის.

4 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
4.1.1 არ გაამჟღავნოს „შემსყიდველის“ სამსახურებრივი საიდუმლოება;
4.1.2 მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით ან იარაღის გარეშე;
4.1.3 საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;
4.1.4 „მიმწოდებელი“ ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს „დაცვის“ მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;
4.1.5 ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის“ საბუღალტრო დოკუმენტაციას;
4.1.6 „შემსყიდველისათვის“ ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას „მიმწოდებელი” მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;
4.1.7 ცესკოს მიერ სხდომიდან პირის გაძევების შემთხვევაში, თუ პირი არ ტოვებს სხდომის დარბაზს – ცესკოს შენობას, დაცვის პოლიცია უზრუნველყოფს ამ პირის შენობიდან გაყვანას და საჭიროების შემთხვევაში საპატრულო პოლიციის გამოძახებას.
4.1.8 ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში პირის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნებს, დაცვის პოლიცია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ამ პირის შენობიდან გაყვანას და საპატრულო პოლიციის გამოძახებას.

4.2 ცესკოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით სარგებლობა განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.
4.3 „მიმწოდებელი“ პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:
4.3.1 „შემსყიდველმა“ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;
4.3.2 თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავ „ობიექტში“;
4.3.3 მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „შემსყიდველის“ მიერ „ობიექტის“ დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.
4.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
4.4.1 განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და „მიმწოდებელთან“ ერთად იზრუნოს „ობიექტის“ დაცვის სრულყოფისათვის;
4.4.2 „ობიექტის“ მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში „დაცვის“ კომპეტენტური თამანშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა
4.4.3 „მიმწოდებელს“ 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე“ მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის“ დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.)
4.4.4 „მიმწოდებლის“ თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“;
4.4.5 „შემსყიდველს“ ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ყოველი თვის ბოლოს ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით შედგენილი **მიღება-ჩაბარების** აქტების და შესაბამისი ***საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის*** წარდგენიდან 7 დღის განმავლობაში
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
9.2 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოსმიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადის დარღვევისთვის სახელშეკრულებო თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
10.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;
10.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
10.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
10.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
10.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.4 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, „შემსყიდველი" ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ერთი თვით ადრე წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს".
10.5 ამ მუხლის 10.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.
10.6 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს: ჯანსუღ კორძაია.
11.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
11.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 თებერვლის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	**შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი**
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ	ს/კ 211350928
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509	ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-11კმ.
ტელ: 2510051	სახელმწიფო ხაზინა
სახელმწიფო ხაზინა	მიმღების ანგარიში 707117293
ანგ №200122900; კოდი: 220101222	ბანკის კოდი: TRESGE22
გიორგი შარაბიძე	**მამუკა ლიპარტელიანი**
თავმჯდომარის მოადგილე	**დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსი**